№ 75 აპრილი 9, კვირა — 1889 — აპრილი 9, კვირა № 75

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიას სათავად აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889

## ქრისტე აღსდგა!

1877—1889

დღესასწაულების გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს 14 აპრილს.

### ქართული თეატრი

კვირას, 12 აპრილს

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

### ა ჰ ა ზ ა კ ე ბ ი

ტრაგედია 5 მოქ., თხზ. ა. ფურცელაძისა

მოთამაშენი: ქ-ნნი ავალოვისა, მელიქოვისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, ცაგარელი, მაქსიმიძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე-79 §-ის ძალით, წლიური მორიგი საზოგადო კრება ხსენებულის ბანკის ბ-ნ წევრთა არის დანიშნული ქ. ქუთაისს, ბანკის სადგომში, ამ 1889 წლის ათს მაისს, დილის 11 საათზე.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები არის:

ა) განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშისა 1888 წლისა.

ბ) დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1889 წლისა.

გ) შეცვლა და დამატება ზოგიერთთა ბანკის წესდების §§.

დ) აღნიშვნა იმ საგნებისა, რაზედაც უნდა მოხმარებულ იქმნას საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გადადებული ფული.

ე) აღრჩევა რიგით გამოსასვლელთ მაგიერ: ბანკის გამგეობის ერთის წევრისა, ზედამხედველის კომიტეტის წევრთა და ბანკის გამგეობის წევრთა კანდიდატისა.

(1—1)

ნ. ვ. ლორთქიფანიძეს

„ტრამვაის როტონდაში“

აღდგომის მეორე დღიდგან დაიწყება საერო სეირნობა კონცერტითურთ. სეირნობაში მონაწილეობას მიიღებენ ახლად დაქირავებული არტისტები.

როტონდაში შემსვლელთ არა ერთმევათ-რა.

ტფილისი, 7 აპრილი

მალე ცხრამეტი საუკუნე შესრულდება მას აქეთ, რაც ქრისტიანე კაცობრიობა მუდამ წელს დღესასწაულობს ქრისტე ღმერთის მკვდრეთით აღდგომას, მუდამ წელს ერთისა და იმავე სიხარულითა და გრძნობით ველოდებით და ვეგებებით იმ დღეს, როცა მაცხოვარმა, კაცთა ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის თავდადებულმა, დათრგუნა ყოველი ძალა ბოროტი და გვიჩვენა კაცთა გზანი სიმართლისანი. მას აქეთ ქრისტიანობა მუდამ დღე ვრცელდება და იფინება მთელის დედამიწის ზურგზე და ქრისტიანობა თავის დრომდე გაუხდია მთელს დაწინაურებულსა და განათლებულს კაცობრიობას.

რა გვიმოძღვრა ქრისტე ღმერთმა ისეთი, რისათვისაც თავდადება და წამება იყო საჭირო, და რამდენად უერთგულა ამ განათლებულმა კაცობრიობამ მაცხოვრის მოძღვრებას, ესე იგი, რამდენად შეითვისა მოძღვრება კაცთათვის წამებულისა?

ქრისტე ღმერთმა, მოევლინა თუ ქვეყანას, გვიმოძღვრა კაცთა სიყვარული, ძმობა და ერთობა, სამსახური და ერთგულება მართლისა და ამათთვის თავდადება. თავისის მაგალითით გვასწავა, თუ როგორ უნდა ვემსახურნეთ ამ საძირკველს კაცთა ბედნიერებისას, და თავისი სამსახური და ერთგულება წამებითა და სიკვდილით გვიმოწმა. აი ის ანდერძი, რომელიც დაგვიტოვა უფალმა და ეხლა-კი ვიკითხოთ, როგორ და რამდენად ასრულებს კაცობრიობა მაცხოვრის მოძღვრებას, ერთის სიტყვით, დავაკვირდეთ თუ არა რომელიმე მცნება ქრისტე ღმერთისა საქმით.

აგერ თითქმის ცხრამეტი საუკუნე სრულდება მას აქეთ, რაც ქრისტიანობას ვემსახურებით, მაგრამ ეგ სამსახური უფრო გარეგანია, ვიდრე შინაგანი. ამ ცხრამეტის საუკუნის განმავლობაში კაცობრიობამ მრავალჯერ გასტეხა ქრისტეს მცნება, მრავალი უსამართლობა ჩაიდინა, მრავალი სისხლი დაჰღვარა და მრავალჯერ გადუდგა ანდერძს მაცხოვრისას, თუმცა მუდამ პირზედა ჰქონდა ძმობა, სიყვარული, მშვიდობიანობა, სიმართლე და სხვანი. დღესაც-კი, როცა თავი მოგვაქვს სწავლა-განათლებითა და კაცთ-მოყვარეობით, შორსა ვართ ზეციურის მოძღვრებისაგან. გადავავლეთ თვალი მთელს დაწინაურებულს კაცობრიობას და ჰნახავთ, რომ დღესაც ერთა და კაცთა შორის ჰსუფევს მძლეობარება და დაუნდობლობა, დღესაც ითელება ღარიბი და უღონო და მძლავრობს ძალა და მტარვალობა. ერთის სიტყვით, დღესაც შორსა ვართ ქრისტე ღმერთის მოძღვრებისაგან და იმ დღეს მაინც, როცა ქრისტეს აღდგომას და ბოროტის დათრგუნვას ვდღესასწაულობთ, გავიხსენოთ, რომ მაცხოვრის ანდერძის ერთგულება და სამსახური გვმართებს არა მარტო სიტყვით არამედ საქმითაც...

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ამ თვეის შვიდს, პარასკევს, ეგზარხოსის კარის ეკკლესიაში გადახდილ იქმნა ლოცვა. შემდეგ იმავ ეკკლესიიდგან გარდამოხსნა ლიტონიით წაასვენეს სიონში. მწუხრის ლოცვა ეგზარხოსის კარის ეკკლესიაში დაიწყო ნაშუადღევის ორს საათსა და ნახევარზე. სამი საათი იქნებოდა, როცა ეკკლესიაში მობრძანდა მთავარ-მართებელი კავკასიისა, თავ. ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვი. სიონის ტაძარი და ახლო მახლო ქუჩები ისე იყო გაჭედილი ხალხით, რომ ნემსი არსად ჩავარდებოდა და ბევრს გული მისდიოდა. როცა გარდამოხსნას მიასვენებდნენ, წინ მიჰქონდათ დროშები, ხატები და ჯვარი, შემდეგ მიდიოდნენ ეპისკოპოსი ალექსანდრე, ბესარიონი და სამღვდელოება. მათ შემდგომ გარდამოხსნის ქვეშ მოდიოდა თვით ეგზარხოსი. სამღვდელოებას მოჰყვებოდნენ მთავარ-მართებელი კავკასიისა და მეუღლე შერემეტიევისა, თანაშემწე მთავარ-მართებლისა შერემეტიევი, სამხედრო უწყების კაცნი და მრავალნიც სხვანი. სიონში სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა მ. აგაპიევმა.

*** ახლად არჩეულს მმართველობას ქართულის დრამატიულ საზოგადოებისას ამ დღეებში ჰქონია პირველი სხდომა და ხელ-მეორედ ამოურჩევია მმართველობის თავმჯდომარედ გ. თუმანიშვილი, იმის ამხანაგად — დავ. ერისთავი, ხაზინადრად იოს. ზაქ. ანდრონიკაშვილი (ადრესი მისი: ტფილისი, ნიკოლოზის ქუჩა, საკუთარს სახლში, კათოლიკეთა ეკკლესიის პირდაპირ) და მდივნად — ალ. მირიანაშვილი.

*** საარხეოლოგიო ინსტიტუტის საზჭოს თანამშრომელ-წევრად აურჩევიათ ჩვენი ისტორიკოსი და არხეოლოგოსი დ. ზ. ბაქრაძე.

*** ივრის-ხეობა: მოდიდდა მდ. იორი და ამის გამო დიდს წვალებაში არიან მცხოვრებნი, განსაკუთრებით ისინი, ვისაც ქალაქში საქმეები აქვს. დარჩობით თუ არავინ დამრჩვალა, სამაგიეროდ საქონელი და ბარგი-კი ბევრს მოსტაცა იორმა. საკვირველია, ღმერთმანი, რომ ამდენს თხოვნას იერის-ხეობისას ხიდის გაკეთების შესახებ სართიჭალასთან ვერა ეშველა-რა.

ქუქუნა წვიმებმა ააყვავეს ხეხილი და მწვანე ხავერდად აქციეს ჯეჯილები. თუ შემდეგში არა დაეცა-რა, კარგის მოსავლის იმედია. საქონელი

## ფელეტონი

### სიკვდილი

აღდგომის წინად

იყო ერთი ძლიერი და განდიდებული ხელმწიფე. ამაზე გაძლიერებული მეფე მთელს დედამიწის ზურგზე სხვა აღარ მოიპოვებოდა. თავის ძლიერებითა და სასტიკობით დაიმორჩილა თითქმის ყოველი კიდე ქვეყნისა.

ყველა დაპყრობილს ქვეყანაში ხელმწიფემ დააყენა მოხელენი და უბრძანა განეგოთ ნებისამებრ მისისა. თვითკი იჯდა თავის სამეფო ქალაქსა ლაღი და ამპარტავანი, გარს ეხვია ნაზირ-ვეზირნი, კარის-კაცნი და მრავალნი დიდებულნი. მის სამეფო დარბაზში დღე ყოველ იყო ბჭობა ახალის ქვეყნების დასაპყრობად და თავისუფალ ერთა დასამორჩილებლად.

ხშირად თათბირობდნენ იმისთვისაც, რომ უკეთესად განეგოთ უკვე ძლეულნი და დაპყრობილნი. ხოლო უკეთესი განგება და მართვა გაგულისხმებულის მეფისა ის იყო, რომ ერი მისი არ გასულიყო მორჩილებისაგან და შიშითა და ამბოხი არსად არ მომხდარიყო.

მეფე უწყალოდ სდევნიდა განდგომისა და ურჩობისათვის, არ იცოდა შეწყალება სრულიად და მისნი მხედარნი, უმრავლესნი მკალზედა, მახვილითა ჰხოცავდნენ ყველას, განურჩევლად ბრალიანისა და უბრალოსი.

ამ სასტიკისა და მტარვალის ხელმწიფის მფლობელობით შეძრწუნდა ყოველი კერძო მისის სამფლობელოსი. უძლეველის მეფეთ-მეფის შიშით განკრძალული იყო ყოველი სულდგმული და არ იპოვებოდა არც ერთი კადნიერი. რაც უნდა მძიმე ყოფილიყო უღელი მონებისა და რაც უნდა ძრიელ გაებგვრათ ხალხი, ჩივილი და კვნესა მაინც არავის არ შეეძლო, ამიტომ რომ დაკვნესება, დრტვინვა და ჩივილია ბედისაო, შეურაცხყოფაა უძლეველის მეფისაო.

ქვეყანა მოიცვა წუხილმა და სიბნელემ. შავი და ბნელი დრო ჩამოვარდა დამონებულთათვის. მონებს მოეღოთ ყოველივე, რაც-კი საცხოვრებელი ებადათ, დაუჩლუნგდათ გონება და დაეხშოთ ადამიანური გრძნობა. ჭკვიანი კაცნი სრულიად გაჰქრნენ და გადაშენდნენ, გულ-მტკივნეულნი მომმეთათვის სანთლით საძებნელნი შეიქმნენ, ღვთიურის მადლით ცხებული ერთიც-კი აღარ დაიარებოდა. გამბედაობა, ენა-მჭევრობა და ჭკვა-მახვილობა აღარსად იყო, მადლი მატლად გადიქცა და ქვეყანა დღეს-ხვალიობით განადირდა, აოხრდა, გაუდაბურდა. ამ უდაბნოში თითქო აღარც ყვავილი ხარობდა, აღარც წყალნი სდიოდნენ, აღარც ბალახი და მწვანე ჩნდებოდა. მკვიდრნი ისე სცხოვრებდნენ, თითქო ნადირნი არიან ტყისაო. სხვილ-ქსოვილის სამოსელითა და ძლივს იფარვიდნენ შიშველსა ტანსა.

სადამდე დაიჩაგრა და გაპირუტყვდა ერი მონებითა, საცნაურია, სხვათა შორის, იქიდამაც, რომ მცირეოდენისა მიზეზისა და ბრალისა გამო და ხშირად უმიზეზოდა და უბრალოდაც მოხელენი მეფისა შეჰკრებდნენ მკვიდრთა მოედანზე ცხვრებივით და მხედარნი ჰხოცავდნენ მახვილითა.

ვისაც შეატყობდნენ, რომ ამას თვალში ჩინი უდგასო, სჯერა ამისი ერსოა, სახელი და პატივი მოუპოვებია თავის მოყვასთა და მეზობელთა შორისაო, მაშინვე დაუწყებდნენ ზვერასა და დევნას, მიუჩენდნენ ჯაშუშებსა და უწამლავდნენ სიცოცხლეს.

ამის გამო ერი უარესად დაშინდა და იდგა ყველგან დიდი ზარი და გლოვა. რაც უნდა კეთილი და მადლით მოსილი კაცი მოევლინებოდა ერს, აღარა სწამდათ-რა მისი და მისგან დაწყებულის საქმის შედეგობას ვერავინა ჰხედავდა. ასეთი იყო შიში და ძრწოლა ერისა...

ამ ყოფაში იყო ერი, რომ შეწუხებულს ქვეყანას დაებადა საკვირველი ყრმა, რომელიც ათასისგან განირჩეოდა და რომლისათვისაც უცხოთა ბრძენნი იტყოდნენ: ეგ ყრმა საკვირველს ვარსკვლავზედ დაიბადა; ეგ იქნება მხსნელ და მაცხოვნებელ ერისა და ქვეყნისაო.

მაშინ ბრძანა მოხელემა იმა ქვეყნისამა მოეწყვიდათ ყოველი ყრმა, უმრწემესი ორისა წლისა, რათა მათ შორის მოეკვდინათ ისიცა, რომლისათვისაც ბრძენნი იტყოდნენ დიდებასა.

ბრძანება აღსრულდა და აიწყვიდა ჩჩვილი და ყრმა უმრავლესი, ხოლო განგებამ დაიფარა ის, ვინც მართლა მხსნელად იყო გამოგზავნილი ზეცისაგან.

აი გაიზარდა ის ყრმა და, რა სრულ იქმნა ჰასაკით, ხელ-ჰყო ქადაგებად განადირებულთა მოყვასთა თვისთა შორის. ჰქადაგებდა საკვირველი კაცი იგი სიყვარულსა და სათნოებასა კაცთა შორის და სიტყვებითა ტკბილითა აუხიზლებდა თანამემამულეთა. სახესა მისსა გარდაჰფენოდა ნათელი და თვალნი მისნი გამოსცემდნენ ალსა ღვთიურსა.

ერი, მამენელი მისი, ოდნავ მოსულიერდა თითონაც და სულ-განაბული გაშტერებით ისმენდა მოძღვრებასა უჩვეულოსა და მაღალსა, რომელი არა სმენოდა არასოდეს.

ხოლო მოხელემან სასტიკისა მეფისამან არა სდევნა კაცი იგი კეთილი, რამეთუ ქადაგება მისი სთნდა მასცა და არცა იყო წინააღმდეგ ბრძანებელისა მისისა.

გარნა სამწყსო კეთილისა მის მწყემსისა უგონოდ ქმნილიყო შეიწროებათაგან დიდთა და ველარა შეიგნო მოძღვრება მაღალი. განადირებულნი იგი მკვიდრნი და თანამემამულენი სათნოისა მის მწყემსისა, შეშინებულნი და შემდრკალნი, იყვნეს ყრუნი სმენითა, ბრმანი თვალითა და დახშულნი გრძნობითა.

მადლიანმა და ზეცით მოვლენილმა კაცმა დასთესა სიკეთე დიდი ქვეყანასა თვისსა: ჰკურნა უკურნებელნი, აღადგინა მკვდარნი და მრავალნი სასწაულებანი ჰქმნა მათ ზედა, გარნა გული მათი ვერ ჰპოვნა.

და აი ოდეს კაცმან ღვთისამან გამოუცხადა ნება თვისი და ნება მომავლინებელისა თვისისა და რქვა: მე ვარ მეუფე თქვენი, შემომიდეგით მე

სადად არის, ხოლო ცხვარმა-კი იზარალა.

ყვავილი და წითელა შესწყდა. მალაკნის სოფელს მალხაზოვკაში ხუნაგი მძვინვარებდა და ეხლა-კი სუსტდება.

*** **თელავი**: თელავის სამოქალაქო სკოლის შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოების გამგეობა გვთხოვს დავბეჭდოთ წარსულის 1888 წლის შემდეგი ანგარიში.

წარსულ 1887 წლიდგან დარჩა 366 მან. 49 კაპ.

1888 წელს შემოვიდა: საწევრო ფული 128 მანეთი; შემოსავალი კონცერტებიდგან და სხვ. 192 მან. 2 კაპ. სხვა-და-სხვა შემოსავალი 45 მ. სულ შემოსავალი იყო 365 მ. 2 კაპ.

1888 წელს დაიხარჯა: მოსწავლეთა შესაწევრად 183 მან. 30 კაპ., სხვა-და-სხვა ხარჯი 52 მან. 20 კაპ., სულ 235 მან. 50 კაპ.

პირველ იანვრისათვის 1889 წელს დარჩა ნაღდი 496 მან. 1 კაპ.

*** **აჭარა**: ამ ბოლო ხანებში ჩვენში კიდევ ერთი მკვლელობა მოჰხდა: წარსულის თთვის 28-ს სოფ. დანდალოში მოლა-ლომან-არზანოღლიმ, შუადღისას, მთელის სოფლის თვალ-წინ მოჰკლა ერთი ახალგაზდა კაცი — ჰუსეინ-გურჯ-ოღლი, 20-ისა თუ 21-ს წლის ყმაწვილი. საბრალო მშვენიერისა და უწყინარის ხასიათისა იყო. ამ ავაზაკობის შემდეგ მოლა-ლომანი თავისის ექვსის ამხანაგითურთ თულად გავარდა.

*** **ქუთაისი**: კვირას, 2 აპრილს, ბ-ნმა ბალანჩივაძემ გაჰმართა სამუსიკო და სალიტერატურო საღამო. მონაწილეობას იღებდნენ ბ-ნი კ. ყიფიანი და ზ. ნაკაშიძე. საზოგადოდ საღამომ ისე ვერ ჩაიარა, როგორც მოსალოდნელი იყო. ბ-ნს ყიფიანს უნდა წაეკითხა ზოგიერთი ქართული ლექსი და სხვათა შორის ილია ჭავჭავაძის «დედა და შვილი». საზოგადოებას ძალიან მოეწონა ზოგიერთი სიმღერა, გადაღებული ნოტებზედ ბ-ნ ბალანჩივაძის მიერ. ხალხი ნაკლებად დაესწრო საღამოზე.

*** **ახალციხე**: თუმცა ახალციხე ჰაერითა და წყლებით დიდი ხნიდან ნაქებია, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ბევრი ექიმის თვალით უყურებს და კიდეც უფრთხის ახალციხეს. ექიმები-კი თითქმის ყველა ავადმყოფს აქა ჰგზავნიან და ჩვენ თუ გვკითხავთ, მართლა საშიშია ახალციხეში ცხოვრება, მაგრამ იმიტომ-კი არა, რომ აქ ცუდი ჰაერი, ან ცუდი წყლები იყოს, არა. მიზეზი ის არის, რომ აქ თითქმის არ მოიპოვება ისეთი სახლი, სადაც რამდენიმე ჭლექიანი არ მომკვდარიყოს. როგორც ექიმები ამტკიცებენ, ჭლექი გადამდებია და იმ სახლში, სადაც ჭლექიანი მომკვდარა, თუ კაცმა სამკურნალო და საგიგიენო ღონისძიება არ იხმარა, სადიც რომ იყოს, ავად გახდება. ახალციხეში სახლის პატრონები არაფერს ღონისძიებას არა ჰხმარობენ და იმ სახლს, სადაც ჭლექიანი მომკვდარა, სხვას აძლევენ ქირით.

დადგა გაზაფხული, მალე ზაფხულიც მოვა: ჩვენ ყველას ვურჩევთ, ვისაც ახალციხეში მოსვლა უნდა, რომ, სანამ სახლს იქირავებდეს, სახლის პატრონს ვალად დასდოს, ყველა ოთახში შპალიერი გამოაცვლევინოს და წამლები აღჩოლებინოს...

*** **სოფ. პატარა-მეჯვრისხევი**: პატარა-მეჯვრისხევი და უკუღმა-სოფელი ერთმანეთზე არიან გადაბმული და მდებარეობენ მდინარე მეჯუდის წყლის პირზე. წელს ამ წყალმა ორსავე სოფელს დიდი ზარალი მისცა. ვისაც ბაღები ჰქონდა, სულ ერთიანად მოსწმინდა და შემდეგ დაუწყო სახლებს საძირკვლის თხრა, რის გამოც ზოგი მეკომური აიყარა და სხვებს შეეხიზნა. ამ უბედურებით დატანჯულმა სოფლელებმა მოახდინეს ყრილობა და დაადგინეს სთხოვონ გორის მაზრის უფროსს, რომ იმან მოაშველოს სხვა სოფლელებიც. მაზრის უფროსმაც უბრძანა მახლობელ სოფლებს მიშველებოდნენ გაჭირებულებს. საქმის მოთავედ დანიშნულ იქმნა «ურიადნიკი» ისე გაზავეე, რომელმაც უკვე შეასრულა თავისი საქმე, მეჯუდას მისცა სხვა გზა და ამ ნაირად ორის სოფლის მეკომურნი სამერმისოდ მაინც გადარჩნენ უბედურებას.

*** **სოფ. ერედვი**: ჩვენც ვიცოდით და „ივერიამაც“ შეგვატყობინა, რომ ლიახვი ადიდდა და გორელები ლამის სალიანში ჩააყურყუმელაოსო, ხოლო მეტი არ იქნება ამ წყლის შესახებ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ. ლიახვს არ აქვს არავისი მორიდება, მაგრამ თვით ლიახვს ვერას ვუსაყვედურებთ, რადგანაც ჩვენს ნებაზე არც ულია, არც დადის და არც ილის, თუ გორელმა ფულის პატრონებმა არ გახსნეს ფულის ქისა და სამკვიდროდ არ გაამაგრეს. მაშ რა შუაშია, ან რა ბრალი აქვს აქ ერედველს და ან კიდევ სხვა სოფლის გლეხ-კაცს, რომლისათვისაც დაუვალებიათ ლიახვის გამაგრება? განა ცხრილით წყლის ზიდვა შეიძლება?!?

გლეხი, რომელსაც ჯერ კვალი არა აქვს გავლებული იმიტომ-რომ ზამთარმა გიორგობისთვის აქეთ კერას მიაკრა ბეჩავი და კარში არ გამოახედა, შესცქეროდა ერდოს: აცა, როდის გამოიდარებს, ხელი მივყო მუშაობას, თორემ ცოლ-შვილი მშიერი დამეხოცებაო... ჩვენში სწორედ 15 მარტს ძლივს გაიტანეს გუთანი. ძლივს თბილმა მზემ აბარგა თოვლი და გაისტუმრა წიაღსა შინა აბრაამისასა. აი სწორედ ამ დროს მშიერ მგელივით მივარდა გლეხი სამუშაო იარაღს, ე. ი. სახრეს, ბარს, გუთანს და სხვას. იფიქრა: ეს არის, მიშველა ღმერთმაო! მაგრამ წამოუხტა მამასახლისმა და მიერეკება გორში ლიახვის გასამაგრებლად, ისიც ექვსის დღით და თავიანთისავე ლუკმით.

— ახლა ჰო, კარგი, მე იქ წავიდე, ჯანი გამევარდეს, მაგრამ ე სახლობა რო შიმშილით მიწყდება, ამათი პატრონი ვილაა?! ეუბნება გულ-ხელდაკრეფილი გლეხი მამასახლისს.

— ეგ ჩემი საქმე არ არის, მე „ბრძანება“ მაქვს ქუდზე კაცი გავრეკო, ვინც არ წავა, სამ აბაზს ფულს გადავახდევინებ კაცის თავზე. გესმის?! უპასუხებს რიხიანად მამასახლისი.

— ჰაი შვილო, თქვენც-კი გადაალაჯებთ დაბალს ღობეს! — გაიძახის თავს გლეხ-კაცი და შინის სახლში სამგზავროდ მოსამზადებლად. ამ გვარს სიტყვა-პასუხს ხშირად გაიგონებთ ჩვენში. იმისთანა კაცებზედაც-კი იღებდნენ სამ აბაზს ფულს, რომლებიც ჯერ დედის კალთას არ მოშორებიან. არა ერთი და ორია ჩვენში ქვრივოხერი დედაკაცი, რომელსაც ერთი ცხრა წლის ბიჭის მეტი არა გააჩნია რა, და იმათაც-კი ახდევინებდნენ ჩვენში და სხვაგან არ ვიცი.

◆◆

## ხმელი წიფელი

ყველას და, მათ შორის, მეც მიყვარს მაღალი, მწვანით, ყვავილებით მორთული მთა; გაზაფხულის სუნი, ახლად ამომავალი ბალახი, ახლად დამდნარის ყინულისათვის რომ უჯობნია, უცოდველად, უვნებლად ამოუჩენია თავი და შეჰყურებს მზე-ქვეყანას; იჩქმალება, ინაბება, მაგრამ ნაზს, მიბნედილს სახეზე გამოუთქმელი ტრფიალება გადაჰფენია: გავცოცხლდი, მადლი ჩემს გამჩენსაო, თითქოს დუდუნებს. საამურია გაყინული ხეები, გაზაფხულის სითბოთი ზოგნი რომ გაიფოთლებიან და სხვანი აყვავდებიან. მიბუნდებულს, ულრანს, ბნელს, დაბურულს ტყეს ხომ რა შეედრება!..

მაგრამ ამ ჟამად ყველაფერი მავიწყდება და თვალთ წინ მიდგება მხოლოდ ერთი ხმელი წიფელი. ისიც ულრანს ტყეში სდგას, ერთის კლდის თავზედ. ამ კლდესაც ხავერდივით მწვანე ხავსი გადაჰკვრია. ხმელს წიფელს სხვა ხეები შორს უდგანან, თითქოს განგებ გაჰშორებიან და ამაყად დასჩერებიან თავზე. ხმელის წიფლის ახლო რამდენიმე ქოლის ფეხია მოსული, შველისა და ირმის ნაკვნეტის ფოთლებით. ისინი გადმოძაბულან და გადმოსცქერიან დაბლა მდინარეს. მის ფესვებში რამდენიმე ფეხი ძირ-ტკბილა მოდის ზამთარ-ზაფხულ მწვანე, დაკბილულ ფოთლებიანი.

ხმელს წიფელს წასვლია სიცოცხლის ნიშან-წყალი: სამი ტოტი და შერჩენია, შუა წელს ქვეით, ზედა ტანი მოტეხილა და ხევში ჩახატულა, გახიდულა. ამ სამს ტოტში წელიწადში მარტო ერთს გამოუვა ხოლმე სამი თუ ოთხი ფოთოლი, ისიც ფერ-წასული, დამჭკნარი, გაყვითლებული. სხვა ხეებს-კი რომ უყუროთ, დატვირთულნი სდგანან ბუნების მინიჭებულის სარჩოთი. არაფრად აგდებენ ხმელს წიფელს, ყურადღებას არ აქცევენ, მხოლოდ ზამთრობით, როცა თითონაც შემოეძარცვებათ ხოლმე საპატარძლო ტანისამოსი და ცოტად თუ ბევრად დაუახლოვდებიან სიხმელეს და დაემსგავსებიან ხმელს წიფელს, მაშინ თუ შეაცქერდებიან, ისიც გაკვრით... ეს მოხდება სწორედ მაშინ, როდესაც პირ-ბადრი, სახე-ნათელი, თმა-გაშლილი, ადგილის დედა ბუნების სანუგეშოდ საყვარელზე, სიწმინდეზე და სიცოცხლეზე ზღაპარს უამბობს. მაშინ შეუბუზღუნებენ ხმელს წიფელს: „რას გაშტერებულხარ, საწყალო, ყური დაუგდე, დედა რას ამბობსო!“

ხმელი წიფელი ამოიკვნესებს ღრმა კვნესითა და არც ავად, არც კარგად ყურს არ ათხოვებს ამ ამაყ მცენარეთ, მაგრამ ადგილის დედის ზღაპარს-კი ყურს უგდებს, თითოეული მისი სიტყვა ლახვარივით გულზე ესობა და უჩუმრად ცრემლსა ჰღვრის.

საბრალო წიფელი! ერთი დრო იყო, რომ ესეც ამაყად გაბარჯღული იდგა, სხვა ხეებს ბევრით მაღლა აცილებოდა და თავისის დიდრონის ტოტებითა და ფოთლებით ქოხივით ებურებოდა თავს მთელს ტყეს. მთიდამ ბარად მომდინარი არწივი მის კენწეროზედ ისვენებდა, მოჰყვებოდა ამაყად ყვეას. ეხლა-კი სულთ-მაბრძოლს დაჰფერებია, წაქცევ-წაქცევაზეა მიმხადული ტანზე, რამდენსამე ადგილს, საცოდავს გამხმარი ქერქი აძრობია და ტიტველი გვერდები უჩანს. ერთს ალაგს უფრო გრძლად აჰყრია ქერქი და დედამიწისკენ გრძლად გადმოშვერილა, გეგონებათ ხანჯალი დაუციათ და ნაწლევები გადმოუყრევინებიათო. ჭიაც ბევრი თუ აქვს ამ წიფელს,

---

და სძლიეთ ბოროტსაო, შემკრთალმა და ჯაბანმა ერმა შეიპყრა მათდა მხსნელად მოვლინებული და წარუდგინა მოხელესა მას მეფეთ-მეფისასა.

ერისა სიმრავლე იგი შეჰკრბეს მოხელესა სასახლისა წინაშე გულმოცემულნი, ღაღადებდეს და იტყოდეს:

— უკეთუ ეგე განუტევო, არა ხარ მოყვარე მეფისა, რამეთუ ყოველი, რომელი მეუფედ იტყვის თავსა თვისსა, საწინააღმდეგო სიტყვას იტყვის მეფისათვის.

მოხელემან მაინც ვერა ჰპოვა ბრალი მადლით ცხებულისა მის და სიყვარულისა მქადაგებელისა, გაანთავისუფლა და რქვა ერსა:

— აჰა, მეუფე თქვენი, განმიტევებია.

ხოლო ერისა სიმრავლეი არა დასცხრებოდეს, ღაღადებდეს და იტყოდეს:

— აღიღე, აღიღე და ჯვარს აცვი ეგე!

ხოლო რქვა მათ მოხელემან, რომელსა ეწოდა პილატე:

— როგორ, მეუფე თქვენი მე ჯვარს ვაცვა?

მიუგეს მათ და რქვეს:

— არა გვყავს ჩვენ სხვა მეუფე, თვინიერ კეისრისა.

მაშინ დაიბანა პილატემან ხელნი, აიხადა ბრალი თავისაგან თვისისა და მისცა იგი მათ, რათა ჯვარს ეცვას. ხოლო მათ წარიყვანეს კაცი იგი, ძე ღვთისა, რომელი იყო იესო ნაზარეველი, შესთხზეს მისთვის გვირგვინი ეკალთაგან, დაადგეს თავსა, სცემდეს ყვრიმალსა და ეტყოდნენ დაცინვით ურიანი:

— გიხაროდენ, მეუფეო ურიათაო!

იესოს თვით აჰკიდეს ჯვარი, გაიყვანეს ადგილსა მაღალსა და მუნ ჯვარს აცვეს და მასთანა სხვანი ორნი, ამიერ და იმიერ და შორის იესო.

ასე სტანჯეს და აწამეს იგი, რომელსაცა პილატემა და იროდემაც კი ვერა უპოვა-რა ბრალი სიკვდილით დასჯისათვის და რომლისათვისაც უთხრა ერისა მას სიმრავლესა...

— მომგვარეთ მე კაცი ესე, ვითარცა გარდამაქცეველი ერისა; და მე წინაშე თქვენისა განვიკითხე და არა-რა ვპოვე ბრალი კაცისა ამის თანა, რასა იგი შეასმენდით მას.

ხოლო იესო ილოცვიდა მათთვის და იტყოდა ჯვარ-ცმული:

— მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან!

ერთი იგი ჯვარ-ცმული ავაზაკი ჰგმობდა იესოს და ეტყოდა:

— თუ ხარ ქრისტე, იხსენ თავი შენი და ჩვენცა.

შერისხნა იგი მეორე ავაზაკმა და ეტყოდა:

— არცა-ღა გეშინის შენ ღმრთისა, რამეთუ მასვე სასჯელსა შინა ხარ? და ჩვენ სამართლად ღირსი, რომელი ვქმენით, მოგვეგების, ხოლო ამან არა-რა უჯერო ჰქმნა.

და ეტყოდა კვლავ იესოს:

— მომიხსენე მე უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა.

ხოლო იესო რქვა მას:

— ამინ გეტყვი შენ, დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა.

◆◆

## სააღდგომოდ

დღეს შაბათია, წინა-დღე აღდგომისა. ბუნებაც მომზადებულა აღდგომის მისაგებებლად. ავსილა მისი გულმკერდი ყვავილებით, თავზედ ადგა გვირგვინი გამარჯვებისა და ეს დედა, დედა-მიწა, სულ-გრძელი, უსაზღვრო სიყვარულით ავსილის გულით, აწვდის ყველას და ყველაფერს ხელს და, როგორც დედაშვილებს, პირ-ჯვარსა სწერს, სიცოცხლეს დიდის ხნისას, სიყვარულისას სთხოვს მათთვის ზეცას. ყველგან სიხარულია, ყველას გულში სიამოვნებაამომავალის დღესასწაულის გამო. ერთი, მხოლოდ, ბობოლა სტირის და სტირის იმიტომ, რომ შვიდის ფრთისა ერთი-ღა შეჰრჩა და ისიც, როგორც თითონ, შემჭვარტლული; იგი თავ-პირ ჩამომტირალი ბუხრის თავზე ჰკიდია მოსაწყლებული, გაბეჩავებული, სასოება-მიხდილი. საბრალო ხვალ იმ ერთად-ერთს ფრთასაც დაჰკარგავს და თითონაც თან გადაჰყვება. მოელება ბოლო მის ფარფაშს, მის საზარელს მაღლიდამ გადმოცქერას, დიდისა და პატარის დამაწიოკებელს. გაითრევენ, გასწეწენ ბალღები და გადუძახებენ სადმე ხევში, ან კლდეზედ, ქარსა და წყალს მისცემენ.

რამდენი ცრემლი ჩამოაგდებინა ამ შეჩვენებულმა ბობოლამ ბალღებს, მაგრამ ხვალ-კი ჯავრს ამოიყრიან; როგორც შეეფერება, სწორედ ისრე მოექცევიან, ამოაშხამებენ სასტიკობამტარვალობას. ჯერ გუშინ-წინვე გაიგონებდით ბალღების სიმხიარულეს ბობოლას ჩამობძანებაზე და ყელის ჩაპოხაზე:

„დღეს წითელი პარასკევი,
ხვალ შაბათი შავდებაო;
ხვალ-ზეგით რომ კვირა მოვა,
ყელი ჩაიპოხებაო“.

ყველგან მოძრაობა და დიდი მოლოდინია ქრისტეს აღდგომისა. სად ქათამი ჩამოსვეს ქანდარიდამ და მოაგდებინეს კისერი, სად ნასუქს ინდაურს მოაშორეს სწორედ ინდაურული, გამოჩერჩეტებული გოგრა, სად ნასუქის ქოსმანის ჰყივილი ისმის, ჰყივილი ვაისა და ვაგლახისა. ამოაშხამეს იმასაც იმდენის სანოვაგის შეყლაპვა და გაოხრება. დიასახლისებს ჯერაც არ გადასვლიათ ხელებიდამ კვერცხების ღებით ახალი ფერი. მოისვენებს ამას იქით ლობიოს სადუღარიც. პატარძლებმა და გასათხოვარმა ქალებმა სწორედ ათ-ათჯერ დაიბანეს პირი და ვისაც-კი რამ ზიზილ-პიპილა მოეპოვებოდა, ტანზე მიიკოსეს; „ბუზიკები“ და „პოლსაპოჩკები“ გაიწმინდეს. მხოლოდ მოხუცებულნი არა ზრუნავენ ტანის აჭრელებაზე, მისხდომიან ცეცხლს კერის პირას, სანთელს აღნობენ და აკეთებენ. მღვდელი და დიაკვანიც, უნდა მოგახსენოთ, დიდს ფაცა-ფუცში არიან. ხურჯინები დააკერეს, ტიკჭორები დარეცხეს და სადაც დაზიანებული იყო, პოლორჭიკი მოაკრეს. მარილი და შაბიც მოამზადეს ბატკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ რამდენჯერაც მის ახლო გავლა მომიხდება, ზედ მუდამ კოდალასა ვხედავ. ეს დასაქცევი ერთ-თავად ზედ აზის და, რაც ძალი და ღონე აქვს, ურახუნებს იმ გასახმობს, გასავერანებელს ნისკარტს; თან კიდეც დასჭყივის, დაჰკივის, თითქოს ნიშნს უგებსო. აგერ რამდენს ადგილას გამოუღრუტნია წიფელი გულამდის, საცაა გულსაც ფქვას დაუწყებს. წიფელი სდგას, სდგას შეუშფოთრად, წარბ-შეუხრელად, არც ავს ამბობს, არც კარგსა.

როცა ქარი უბერავს, სხვა ხეები ერწევიან, მხოლოდ ხმელი წიფელი არ ინძრევა. წინად-კი, როცა იგი ჯან-საღად იყო, სიცოცხლით სავსე, ქარის ბერვაზე დაიწყებდა ზღვასავით ღელვას მისი ტოტები და ფოთლები ჭეხა-ქუხილივით ხმაურობას ასტეხდნენ. ხმელის წიფლის ტოტები ამაყად დედამიწას სცემდნენ, ასქდებოდნენ. დიაღ, ეხლა ქარს ველარ მიჰყვება ხმელი წიფელი სხვა ხეებივით, ძველებურად, შეუპოვრად გულ მკერდს ველარ უპყრობს ქარიშხალს. არ მოიდრიკება-კი ხმელი წიფელი და თუ მოსტყდება, იმისა რა ვსთქვათ, მოსტყდება, წაიქცევა, გვერდზე წაწვება, ფესვები გამოჩნდებიან აღმა თავ-აჭერილები, თითქოს ლოცულობდნენ, ღმერთს ევედრებოდნენ, შველასა სთხოვდნენო. ზაფხულობით უფრო შესაბრალისია ხმელი წიფელი: სხვა ხეები მორთულან მწვანის ფოთლით, უვნებელნი, უდარდელნი, მათზედ ათასი ფრინველი სხდება საგალობლად, ქედნები ღუღუნებენ იმათ ტოტებზე, ქერონა ჩიტი დაჰკრავს დაუსრულებელს გალობას, წიპრია იკლებს სტვენით იმათ არე-მარეს და მოუსვენრად გადახტ-გადმოხტის; ყელ-მოღერებული შველი და ირემი იმათ იჩრდილავს. ეს გაფოთლილი ხეები ამაყად დასცქერიან ბეჩავს ხმელს წიფელს, იმათ ეჩოთირებათ და ამბობენ: ნეტავი შენ არ გვაუშნოებდეო! იმათ არ იციან, რომ ხმელი წიფელი იმათზე მეტად იხსენიება, და არიან, იპოვებიან ისეთნი კაცნი, რომელთაც მოსწონთ და უყვართ უბედურებაში ჩავარდნილი ხმელი წიფელი... სოფელში დღეში სამჯერ მაინც მოიგონებენ ხმელს წიფელს. სადა გყავნდათ დღეს საქონელიო? მამამ რომ ჰკითხოს თავისს შვილებს, ისინი უჩვენებენ ხმელის წიფლის მიდამოს, გაღმით, ან გამოღმით, თავს, ან ბოლოს.

— ხმელ წიფლის ძირს, კლდეში, ვეფხვი დაბუდებულაო, ხმა არის სოფელში: ლეკვები დაუყრიაო. მონადირეებს ენახათ ხმელ წიფლის გარეშემო დედა ვეფხის და იმის ლეკვების კვალიო.

— ეს საბედე სოკო ხმელს წიფელს ავაჭერო, — ამბობს მეორე

დიაღ, არ იციან უგუნურმა ხეებმა, რომ ხალხს ჯერ არ დაუვიწყნია ხმელის წიფლის სახელი, კიდევ ახსოვს იმისი სიდიადე.

განა ყველა, რაც ხმელია,
გაცისგან საწუნარია?!
ათასს ცოცხალსა ბევრჯელა
ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია.
შენის დანახვით, ტიალო,
გულს დარდი მასწვდს ცხარია,
რაკი გხედავ რო ბეჩავად
და უპატრონოდ ხარია.
თითქო დაჭკრესო განგაში,
სამგლოვიარო ზარია,
მინდა რომ დიდხანს ნასარში
და გულში ნადუღარია
გაგიზიარო ვარამი,
მდიოდეს ცრემლის ღვარია.
რისთვის მოსულხარ, ბეჩავო,
არ იღლოვები მკვდარია?!
შენთვის არც წაწუმედა არი,
არსად ცხონება არია!
ვინ ან შაგიკრავს კუბოსა,
ვინ ან აგინთოს სანთელი?..
ვაჰ, რა ძნელია კვდებოდეს,
იკარგებოდეს სახელი!

ღამ-ღამობით ათასში ერთხელ ხმელს წიფელზე ბუ შეჯდება და დაკოდილის ხმით მოჰყვება გულ-მოკლული ძახილს: „ვერ იპოვეო“ და როცა ძახილით დაქანცულს შემოესმის: „ვერა“, „ვერაო“, მოსაწყლებელი თავს დაჰკიდებს და „ღრუ“, ღრუო“ ხმა-დაბლა გულს ჩასძახებს.

ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელს წიფელს, აიტუზება იმის გვერდით და ღმუის შიმშილისაგან შეწუხებული. ხმელი წიფელი შეუშფოთრადა სდგას, არც ავს იტყვის, არც კარგს, სდგას გამშტერებული; იმან არც სიბრალული იცის, არც სიმძულვარე; იმას არც სამტროდ აუდუღდება გული, არც სამოკეთეოდ ჰფიქრობს ხმელი წიფელი თავისს თავზე, წარსულზე, აწმყოსა, და მომავალზე გულში, თითქოს ღრმად ჩასჭდევია მწუხარება. ხანდახან გადმოაცქერდება მის ერთს ფესვის ბოლოზე ამოსულს პატარა დასახულს ყლორტს, რომელიც მზესა და წვიმას უცდის, რომ გაიზარდოს, ეს-ღაა იმისი ნუგეში...

ვაჟა-ფშაველა

## აღდგომის კვერცხი

წითლის კვერცხის ჩუქების ჩვეულება ძველის-ძველადვე ჰქონდათ რუსეთს, საბერძნეთსა, აზიასა, ეგვიპტესა, დიავაში, ერთის სიტყვით, ყველგან, სადაც-კი მართლ-მადიდებელი ერი სცხოვრებდა. შეღებილის კვერცხის ხმარება კერპის თაყვანის-მცემელთა შორისაც-კი სცოდნიათ. ეს კერპის თაყვანის-მცემელნი ახალ-წლის დაწყების დროს სტოლზედ აწყობდნენ და თავისს კეთილის-მყოფელთ მიართმევდნენ ხოლმე საჩუქრად. კვერცხებს განსაკუთრებით წითელ ფერად ჰღებავდნენ, რადგან კელტები წითელს ფერს სთვლიან საუკეთესო ფერად. მზის ახალ წლის დღესასწაულს, 20 მარტს, სპარსეთში ერთმანეთს მეგობრნი წითლად შეღებილს კვერცხებსა სთავაზობდნენ. ასეთი ჩვეულება დიდხანს იყო საფრანგეთსა, იტალიასა და ისპანიაში. პლინი ამბობს, რომ რომაელები შეღებულს კვერცხებსა ჰხმარობდნენ სხვა-და-სხვა ასპარეზების და წირვა-ლოცვის წესის აღსრულების დროსაო. ამ ჩვეულებას პლუტარხი ასე განმარტებს: კვერცხი წარმოადგენს შემომქმედს მთელის ბუნებისას. კვერცხი, როგორც მზე, ყოველისფრის დამბადებელი და განმაცოცხლებელი, ბახუსის საპატივცემლოდ ჰქონდათ. ძველნი ფილოსოფოსნი ამბობდნენ, რომ მთელს ქვეყნიერობას კვერცხის სახე აქვსო. ეგვიპტელები კვერცხის სახით თაყვანსა სცემდნენ კეთილის-მყოფელს ღმერთს კნეფს. საბერძნეთისა და რომის ფილოსოფოსები იმ აზრისანი იყვნენ, რომ კვერცხის ბუნების ძლიერების სიმბოლოო. ძველნი სპარსნი ამბობდნენ, რომ სულ წინად, ქვეყნის გაჩენამდე, არაფერი არ იყო ღმერთის მეტი, ყველა არსებანი წყვდიადში იყვნენ. ბოლოს დაიბადა კვერცხი, რომელიც ღამის სიბნელეში იყო გახვეული. შემომქმედის უფროსი შვილი — სიყვარული ჰზრუნავდა კვერცხის მომწიფებისთვის. როცა კვერცხი წამოიზარდა, გაიშალა მთელი ქვეყნიერება და მზე, მთვარე და სხვანი არსებანი გამოჩნდნენ. სპარსნი თავის სამღვთო საგალობელში კვერცხს შეაქებენ. ამას გარდა თავიანთს ტაძრებში ინახავდნენ ჩამოსხმულს კვერცხებს იმის ნიშნად, რომ ყოველივე იბადებაო.

ქრისტიანებმა საიდგან-და შემოიღეს ერთმანეთში შეღებილის კვერცხის თავაზი? ეს ჩვეულება ქრისტეს სარწმუნოებასა და სხვა საეკლესიო ჩვეულებასთან ერთად საბერძნეთიდგან გადმოვიდა. საბერძნეთში-კი უხსოვარ დროიდგანვე მისდევენ ამ ჩვეულებას და შემდეგი ზეპირ-გარდმოცემაცა აქვსთ ამის შესახებ: როცა იესო ქრისტე ზეცას ამაღლდა, მოციქულთა-სწორი მარიამ მაგდალინელი, რომში დაბადების საქადაგებლად მისული, წარსდგა იმპერატორ ტიბერის წინაშე, მიართვა წითელი კვერცხი და უთხრა: „ქრისტე აღსდგაო!“ ამ გვარად დაიწყო მან ქადაგება მაცხოვრის ამაღლებაზედ. როცა პირველ ქრისტიანეთ შეიტყეს, რომ მოციქულთ-სწორმა ასე უბრალოდ მიულოცა იმპერატორს ქრისტეს აღდგომაო, თითონაც მიჰბაძეს და აღდგომის სწორზედ თითონაც ერთმანეთს წითელს კვერცხსა სთავაზობდნენ. ეს ჩვეულება შემდეგში ცოტ-ცოტა გავრცელდა ყველა ქრისტიანეთა შორის.

წმ. მარიამს რამ აფიქრებინა, ტიბერის რომ წითელი კვერცხი მიართვა და ან ამ საჩუქარს რა აზრი ჰქონდა? ძველად კერპის თაყვანის-მცემლებმა და ებრაელებმა იცოდნენ: როცა რომელსამე წარჩინებულს კაცთან მივიდოდნენ, განსაკუთრებით თუ პირველი იყო ეს მისვლა, რასმე მიუტანდნენ ხოლმე ძღვნად თავისის პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად. ასე მოიქცნენ, როგორც ვიცით, მოგვნიც, როცა პაწია იესოს თაყვანის-საცემლად მივიდნენ. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ წმ. მარიამმა, როცა განთქმულს რომში მივიდა ჯვარ-ცმულის ცხოვრების საქადაგებლად, იმპერატორს, ჩვეულებისამებრ, პაწია და უბრალო ძღვენი შესთავაზა — კვერცხი. ტერტულიანის აზრით-კი, იმიტომ შეჰღება წითლად კვერცხი, რომ ებრაელებმა იცოდნენ ხოლმე: სააღდგომო ბატკნის სისხლში უსუპს ამოასველებდნენ და კარების დირეებს შეღებავდნენო. წმ. მარიამმაც ამ ჩვეულებას მისდია და იმპერატორს ტიბერის აუწყა, რომ განთავისუფლდით ცოდვებისა ჩვენისაგან ქრისტეს ძვირფასის სისხლითაო.

მოციქულთა სწორის მაგდალინელისავით მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენიც ერთმანეთს აღდგომას წითელს კვერცხს შესთავაზებენ ხოლმე. ეს ჩვეულება ჰმეტყველებს ქრისტიანეთა ერთობას, ძმობასა და სიყვარულს. ამ ჩვეულებით აშკარადა სჩანს, რომ ქრისტიანენი ირწმუნენ და დღესასწაულობენ: სიკვდილსა და აღდგომას ქრისტესას და აგრეთვე ჩვენს სიცოცხლეს სიკვდილს შემდეგ. კვერცხი აღდგომისა, სიკვდილს შემდეგ სიცოცხლის სიმბოლოა; როგორც კვერცხიდგან ნაჭუჭით დაფარული სიცოცხლე იბადება, ასევე აღსდგა საფლავიდგან, ამ სიკვდილისა და ხრწნის სადგომიდგან, ცხოვრების-მომნიჭებელი, და მერმისში ჩვენი უსულო გვამიც კვლავ შემოსება სიცოცხლით.

# დეპეშა

5 აპრილი

პარიჟი. „Autorite“-ს სიტყვით, უმაღლესის სასამართლოს გამომძიებელ კომისიის თავმჯდომარემ მერლენმა ბრძანება გასცა სადგომები გაუჩხრიკონ გენერალ დიუბარალსა და კასანიაკს.

„Presse“-ი იუწყება, რომ სულ ბოლო ხანში მერლენმა ბრძანება გასცა სამოცი კაცი დაამწყვდიონო. ლაგერი და სხვა წევრნი ნაციონა-

---

ნის ტყვეების დასამარილებლად, მომზადდა ძღვენიც ნათლიისათვის, მის განუშორებელის მეგობრითურთ — ინდაურით, ამასთან ნამცხვარ-ნაზუქით და საქმის დამაგვირგვინებელ ყელ-მოღერებულ გოზაურით.

საყდრის შორი ახლო ცეცხლის ალი ავარდა. გაჩაღებულს ცეცხლს გარს შემოსხდომოდა ხალხი: დიდი და პატარა გაფიცულიყვნენ ეფხიზლათ ამ ღამეს. ყველანი ყაყანებდნენ. იმათში მხოლოდ ერთი გაჭაღარავებული კაცი ერია. დაფიქრებული თვალები, ჩამომხმარი და ჩამომტირალი სახე ცხადად ამტკიცებდნენ, რომ ამ კაცს ბევრი ტანჯვა და ვაება უნდა გამოევლო. უცნობს სოფელში ნაბერალს საბას ეძახდნენ. მართლაც საბამ ბერობაში ათიოდე წელი გაატარა, მაგრამ რა მიზეზის გამო დაანება თავი ბერობას, არავინ იცოდა; იგი სოფელში, მაინც კიდევ, ბერივით სცხოვრებდა, საყდრის ყარაულად იყო. სოფლელთაგან ბევრი დაცინვა ესმოდა საბას: ერთი „ძალად წმინდას“ ეძახდა, სხვა «გამოპარულს ბერს» და სხვა-და-სხვა. საბა ამას ყურადღებას არ აქცევდა.

— აბა ერთი შენ ჩვენზე ბევრით მეტი იცი, სთხოვა საბას ერთმა იქ მყოფმა შუათანა გლეხმა: ერთი გვიამბე რამე, გეთაყვა საბავ!

— დიდება შენს სახელს, ღმერთო, სასოებაო ჩვენო, დიდება შენდა! სთქვა საბამ: ნეტარ არიან დევნილნი სიმართლისათვის, თვით იესო ქრისტემ ბრძანა. იგი ღმერთი იყო, შვილო, არ იწამეს, მოჰკლეს, ჰგვემეს, სტანჯეს, ჯვარსა აცვეს და მე ერთი საწყალი კაცი რომ მასხარად დამიჭიროთ, რა საკვირველია. იგი ჯვარს აცვეს, მაგრამ ჯვარზედაც თავის მტრებისთვის ლოცულობდა, ევედრებოდა მამა ღმერთსა, რომ მიეტევებინა ცოდვა უგნურთათვის, «რამეთუ არა იციან რას იქმანო», მაინც და მაინც იესომ ქვეყანა არ მოიძულა, მას არ გადაემტერა.

— რად მოჰკლეს ქრისტე ურიებმა, საბავ? იკითხა მეორემ.

— იმიტომ, უპასუხა საბამ, რომ კუტს არჩენდა, მკვდარს აცოცხლებდა და ბრმას მხედველობას აძლევდა. ფარისეველთ სწყინდათ ესა და შური აიღეს ქრისტესი და მოაკვდინეს კიდეც, მაგრამ მან სიკვდილი დათრგუნა და ამაღლდა ზეცას და კვალად მომავალ არს... ვაი მაშინ იმას, ვინც ცოდვილია. მეორედ მოსვლა რომ იქნება, მაშინ იესო ქრისტე გაარჩევს ყველას, როგორც მწყემსმა ცხვრები თხებისაგან გაარჩიოს, და ყველას თავისს შესაფერს ადგილს მისცემს. მაშინ ბევრი ინანებს, ბევრი იტირებს, მაგრამ გვიან-ღა იქნება...

ეს საუბარი დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ ძელების კნაწა-კნუწის ხმას არ მიექცია ხალხის ყურადღება. თურმე კატას, ვინ იცის რომელ დიასახლისისათვის, ქათამი მოეტაცა, შეგროვილ ღამის მთევლების შორიახლო მიეთრია და შეექცეოდა. ნახევარი ხალხი იმას გამოეკიდა.

— ვერ უყურებ მაგ ვერანას, წინა დღითვე გაუხსნილებია, ე! ამბობდა ხალხი ხარხარით.

ამ მდგომარეობაში იყო ხალხი, რომ ზარი აჩქამდა. ყველამ ქუდები მოიხადეს და დაიწყეს პირჯვრის წერა. „ტარასტა“ რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჰრეკდა ზარებს, მაგრამ ახალგაზრდებმა მალე ჩამოართვეს ეს ხელობა და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ზარის რეკაში, ერთი მეორეს სტაცებდა ხელიდამ ზარის თოკს. შორიდამ მღვდლისა და დიაკვნის ხმაც მოისმა, იმათთან მოსდევდა ხალხის გროვა. მღვდელი მოვიდა მრევლითურთ. ყველამ სანთლები დაანთეს, მხოლოდ ტარასტა აღარსად სჩანდა, იგი საყდრის კარებს ეფარა. მღვდელმა წინადვე დაარიგა, რა პასუხიც უნდა მიეცა. ტარასტა მიკუნჭული იდგა კარებში და დასწავლილს სიტყვებს ბუტბუტებდა. მღვდელი შეიმოსა, აიღო კელაპტარი და გაუძღვა წინ ხალხს „ქრისტე აღდგა“-ს გალობით. ხალხიც თან მისდევდა ხელ-სანთლიანები. შემოუარეს ლიტონია ორჯელ და მესამედ რომ მიუახლოვდა კარებს, მღვდელმა ყველანი შეაჩერა და სთქვა:

— აღახვენით ბჭენი თქვენი, მთავარნო, აღახვენით ბჭენი საუკუნენი და შევიდეს მეუფე დიდებისა! ტარასტას დაჰვიწყებოდა მღვდლის ნასწავლი სიტყვები და იმის მაგივრად რომ ეთქვა: „ვინ არს მეუფე დიდებისაო„, — ვინ არის და ვინ გინდაო, — შემოგვიჩხავლა საყდრიდამ. ხალხს სიცილი წასქდა. მღვდელმა ყური არ უგდო ტარასტას უგვანს პასუხს.

— უფალი ძალთა, თავადი არს მეუფე დიდებისაო, — სთქვა მან, დაჰკრა ფეხი და შეაღო კარები. ხალხიც მიჰყვა გრიალით. მღვდელმა და დიაკვანმა გამარჯვებულად ჩამოილოცეს ეს გამარჯვება სიმართლისა, ქრისტეს აღდგომა.

— აღსდეგნ ღმერთი და განიბნიენ ყოველნი მტერნი მისნი, სთქვა მღვდელმა და „ქრისტე აღსდგა!“ მოაძახა ხალხს გამეორებით.

— ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად! გაისმა გრიალით ხმა ხალხისა.

ბოლოს მღვდელმა სიტყვა სთქვა, რომელიც შემდეგის სიტყვებით დაამთავრა: „ფარისეველთ, უგუნურთ აცვეს ქრისტე ჯვარსა, ვითარცა ავაზაკი, და გაგმირეს ლახვრითა, მაგრამ აღსდგა, სძლია სიკვდილი და მით მოგვცა ჩვენ კაცთა მაგალითი აღდგომისა, სიკვდილის ძლევისა და დაემკვიდრა ჩვენს შორის; მოგვანიჭა ნათელი, ნაცვლად ბნელისა. ამიერიდგან ეშმაკი ველარ გაიმარჯვებს კაცთა ნათესავზე, სამეფო მისი შემუსვრილ იქმნა. ლოდი, რომლითაც დაკეტა ფარისევლობამ, ბოროტებამ, შურმა სამარე ქრისტესი, რათა მოესპო ჩვენთვის კავშირი ქრისტესთან, გადაგორდა. საფლავს, სადაც იყო დამარხული ქრისტე, ჰფარვიან ანგელოზნი და ეტყვიან იესოს მაძიებელთ: „ვისაც ეძიებთ, იგი აღსდგა!“

ხალხი თავ-დაკიდებით, მორჩილად ისმენდა ამ სიტყვებს, საბა-კი დაჩოქილი იდგა, ქრისტეს აღდგომის ხატთან, ცრემლი სიხარულისა ჩამოსდიოდა და ხელ-გაპყრობით ევედრებოდა მეუფეს.

ვაჟა-ფშაველა

ლურის დასის კომიტეტისანი გუშინ წავიდნენ ბრიუსელს, სადაც დღეს კომიტეტს საყურადღებო სხდომა ექნება.

პეტერბურგი. „Journal de St.-Pétersbourg“-ი ამბობს, რომ ის ამბავი, ვითომ სპარსეთმა დაუთმო რუსეთს ციხე-სიმაგრენი კელატი და ნადირი, ტყუილიაო.

ჟურნალ „Шутъ“-ს ნება მიეცა ხელ-ახლავ ჰყიდოს ცალკე ნომრები. აღკრძალულია ცალკე ნომრებად სყიდვა გაზეთის „Театръ и Жизнь“-ისა.

6 აპრილი

პეტერბურგი. გამიჯვნის კანონების გადასათვალიერებლად შესდგა ცალკე კომისია, რომლის თავმჯდომარედ დანიშნულია ობერ-პროკურორი პლატონოვი.

პარიჟი (განსაკუთრებული დეპეშა). ცხრა კაცისაგან შედგენილ კომისიის ოთხმა წევრმა, მათ შორის მერლენმაც, რომელთაც გამომძიებელ ოტალენთან ერთად მინდობილი ჰქონდათ გამოძიება, გუშინ მოისმინეს ჩვენება გენერალის სოსიესი, ხოლო დღეს ფრეისინესი.

ხმა ისმის, რომ ბულანჟეს იმას-კი აღარ დააბრალებენ, ვითომ სახელმწიფოს უენებლობას ემუქრებოდიო, არამედ იმას, რომ მომხრეებს ეძებდი ჯარშიაო. ხოლო ეს საქმე ექვემდებარება სამხედრო სასამართლოს. დღეს ხელ-ახლად გასჩხრიკეს სახლები პარიჟსა და პროვინციაში და, სხვათა შორის, დილონის სახლიც ბრეტონში.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი 3-იდამ $2^1/_2\%$-მდე.

პეტერბურგის 6 აპრილი, ბირჟა,

| | მყიდველ. ჰქ. | გამყიდვე-ლთა. | გაყიდუ-ლია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 50 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 150 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 12 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 271 |
| —მეორისა | $243^1/_2$ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩვენ (1889) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

აპრილი 30 დღით არის.

9 დღე კვირა. აღდგომა ქრისტესი. კათოლ. იგივე. სომეხ. ზატიკი. მაჰმად. მე-21 რიცხვი თვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—11, ჩადის 6—47. მთვარე 21 დღისაა.

10 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. ტერენტისა. კათოლ. წმ. აპოლონისა. სომეხ. მერელოცი (ხსენება მიცვალებულთა). მაჰმად. მე-22 რიცხვი თვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—9, ჩადის 6-49. მთვარე 22 დღისაა.

გამოსადევი ცნობანი

ნიხრი

1 აპრილიდამ 16 აპრილამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | $3^1/_2$ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | $3^1/_2$ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | „ | |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 12 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვადაზე გემები.

# განცხადებანი

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ხსენებულ ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა შემოუტანლობისა გამო მათ მიერ ბანკის ვალისა.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი შეავსებენ ბანკის ვალს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ქ. ქუთაისს

მურვანოვისა, პეტრე სიმონის ძის: სილაზე სამოსახლო ადგილი ზომით 2210 კვად. საჟ.

ლორთქიფანიძისა, ელისაბედ როსტომის ასულისა: გორაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 2185 კვად. საჟ.

ქ. ფოთს

მემკვიდრეთა ტერ-შმავანოვისა, ალექსანდრე მიხეილის ძის: ბერძნისა, მიხაილოვის და ივანოვის ქუჩებ შუა ქვითკირის დუქნები და მიწა 295 კვად. საჟ.

შორაპნის მაზრაში

დაბა ყვირილას

ვარდასანიძისა, ნარიმან როსტომის ძის, გადასული მიხეილ ზურაბის ძე აბაშიძეზე: ორ-სართულიანი სახლი და მიწა 132 კვად. საჟ.

რუხვაძისა, გიორგი ანდრიას ძის: ერთ-სართულ იანი ქვითკირის სახლი და მიწა 256 კვად. საჟ.

კანდელაკისა, ანდრონიკა გრიგოლის ძის: ორ-სართულიანი სახლი და მიწა 132 კვად. საჟ.

სოფელს თერჯოლას

წულუკიძისა, ასლან ვახტანგის ძის: სახნავ-სათესი და ტყე 27 დესიატ. 2140 კვად. საჟ.

ქუთაისის მაზრაში

სოფელს ტყაჩირს

მაჭავარიანისა, ავრაფენა ბეკოს ასულისა: სახნავ-სათესი 20 დესიატ. 900 კვად. საჟ.

აგიაშვილისა, კონსტანტინე ბეჟეს ძის: ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი 23 დესიატინა 760 კვად. საჟ.

სოფელს გოჩა-ჯიხაიშს

გოგობერიძისა, ნიკოლოზ ზაალის ძის: სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე 8 დესიატ. 2257 კვად. საჟ.

(1—1)

სურათებიანი საყმაწვილო წიგნი

პირუტყვების ამბები

გამოცემული გ. ტატიშვილის მიერ ისყიდება ხიდეკელის მაღაზიაში

ფასი 25 კ.

სასწავლებელი,

რომელიც მთავრობის ნება-დართვით გავმართე ქ. ქუთაისში, ტფილისის ქუჩაზე, მაჭავარიანის სახლში, ამზადებს ბავშვებს გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა და სხვა სასწავლებლისათვის. თთვიური გადასახადი არის ექვსი მანეთი. სასწავლებელი გაიმართა 15 მარტს. სწავლა იქნება ზაფხულშიაც.

სასწავლებელთან იქნება პანსიონი, სადაც შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება როგორც ამ სასწავლებლის მოსწავლეთ, აგრეთვე გიმნაზიისა და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. წლიური გადასახადი თითოეულ პანსიონერზე იქნება 250 მან.

სასწავლებელთანავე იქნება სარეპეტიციო კლასები საღამოობით როგორც პანსიონერებისათვის, აგრეთვე იმ ყმაწვილებისათვის, რომლებიც გიმნაზიასა და პროგიმნაზიაში არიან, სისტემატიურად სწავლობენ და დახმარება ეჭირებათ,

სასწავლებლის მმართველი

ს. ბ. ჟორჟიკია

(4—1)

„გამგე კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა“ უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ბანკის წევრთა და აგრეთვე წევრთა „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“, საზოგადოების წესდების მე-7 §-ის ძალით, მობრძანდნენ წლიურს საზოგადო კრებაზედ ამ 1889 წლის მაისის 6, საღამოს 6 საათზედ, თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში.

კრების განსახილველნი საგანნი არიან შემდეგნი:

1) გამგე კომიტეტის მოხსენება შესახებ სათავად-აზნაურო სკოლისა.

2) მომავალის სამოსწავლო წლის ხარჯი.

3) სახლის მოპოვება სკოლის საკუთრებად.

4) გამგე კომიტეტის თავმჯდომარის აღრჩევა ნაცვლად კონსტანტინე ქრისტეფორის ძის მამაცაშვილისა, რომელიც ათზედ მეტი წელიწადია, რაც ემსახურება საზოგადოებას ამ თანამდებობაზედ, და რომელმაც განაცხადა სურვილი დაეთხოვოს ამ თანამდებობას.

5) ზოგიერთნი ცვლილებანი, რომელიც უნდა მოჰხდეს 1881 წლის წესდების მუხლთა შესახებ.

(3—1)

სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანეთი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დახაწლებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—10)

№ 4711

გლიცერინის საპონი.

ამ საპონმა დიდი სახელი დაიმსახურა თავისის საუკეთესო თვისებით, იგი სხვა გლიცერინის საპნებისაგან განირჩევა გლიცერინის სიხევრით; ადვილად აქაფებითა და მშვენიერის სუნით.

მყიდველებს განსაკუთრებით ვურჩევთ იყიდოს:

№ 4711 ბროლისებრ მჭვირვალე ვარდის საპონი.

№ 4711 ბროლისებრ მჭვირვალე ზამბახის საპონი.

№ 4711 ბროლისებრ მჭვირვალე რეზედას საპონი.

№ 4711 ბროლისებრ მჭვირვალე ო-დე კოლონის საპონი.

№ 4711 საკუთრივ გლიცერინის საპონი.

ისყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიებში. (3—3)

წიგნის მაღაზია

კ. ი. ნოდიასი

ქ. ფოთში.

ისყიდება ყოველ გვარი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სასულიეროსაეკკლესიო და სხვა მრავალ გვარი საკითხავი წიგნები. იქვე ისყიდება ყოველ ნაირი სამწერლო მასალები და ნივთები.

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ნებართვით ნოდიავა კომისიონერად ყველა სასულიერო და საეკკლესიო წიგნების გასაყიდავად ეპისკოპოზის ეპარხიაში.

(10—10)




სასახლის ქუჩაზედ, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში. (10—2)

საზოგადო წასასმელი

ლითონთა საწმენდავად.

საუკეთესო ღონისძიებაა

!მთელის ქვეყნის მიწაზედ!

უმთავრესი დეპო იმყოფება სამხრეთ რუსეთისათვის ძმათა პეტრო კოკონოებთან ოდესას.




ისყიდება ყველგან.

მყიდველებსა ვსთხოვთ, რომ ყურადღება მიაქციონ ჩვენს ფირმასა და საფაბრიკო მარკას.

(26—24)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან | „ | 40 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა | „ | 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი | „ | 45 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| ვაზის ობი | „ | 10 |
| ლოცვანი, დამაშმისა | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. | 1 | „ |
| სახალხო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გუდისაშვილისა | „ | 15 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. | „ | 15 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა 1 ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილს, გადმოკეთებული ივ. კეცხაძის მიერ | „ | 5 |

Дов. ценз. Тифлисъ 8-го Апрѣля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской улиц. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე